ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ92.922222111**
თარიღი:**09/08/2022**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიასა და "სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში" შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, "ერთობლივი დაგეგმვის გეო-კითხვარის" პროცესის კონტროლის მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, "ე"-პუნქტის, "ე.ე" და "ე.ვ"-ქვეპუნქტის შესაბამისად,

მუხლი1. "ერთობლივი დაგეგმვის გეო-კითხვარის" პროცესის კონტროლის მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

ჯგუფის უფროსი:

-ნინო ბატიაშვილი -- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ჯგუფის წევრები:

- ქეთევან ტალახაძე- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
- მაკა მოდებაძე-ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის“ სპეციალისტი;
- ირაკლი ბიწაძე - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების საკითხებში (აიტი) სპეციალისტი;
- შორენა ხაჩიაშვილი- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
- ეკა ლეკიაშვილი-ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი “სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის“ თავმჯდომარე;
- თამარი წიქარიშვილი - სამართლებრივი უზრუნველყოფილების განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
- ნანა ნერსეზაშვილი - არასამთავრებო ორგანიზაციის წარმომადგენელი;

მუხლი2. "ერთობლივი დაგეგმვის გეო კითხვარი"-ს პროცესის განხორციელებისას სამუშაო ჯგუფმა, იხელმძღვანელოს შემდეგი ეტაპების მიხედვით:
- პრობლემის (პრობლემების) ანალიზი და კითხვარის მიზნის განსაზღვრა;
- კონსულტაციის გეგმის (გეგმების) შემუშავება;
- კითხვარის შინაარსის მომზადება;
- კითხვარის ატვირთვა სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფაში LopiAsk ინსტრუმენტზე participatoryhub.ge;
- გეო კითხვარის ტესტირება;
- საინფორმაციო კომპანიის მომზადება;
- საჯარო კონსულტაციების ჩატარება მოქალაქეებთან გეო-კითხვარის გამოყენებით (საინფორმაციო კამპანიის მხარდაჭრით);

- გეო-კითხვარის საერთო შედეგების გამოქვეყნება;
- გეო-კითხვარის შედეგების ანალიზი და შემდგომი ქმედებების გადაწყვეტა;
- გეო-კითხვარის შედეგების შეჯამება.

მუხლი3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მუხლი4.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: გურჯაანი, სანაპიროს ქ.N24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი